

## 1. დებულება გამოცდების ჩატარების შესახებ

### მუხლი 1. დებულების მიზანი:

- 1.1 წინამდებარე დებულება ადგენს კავკასიის უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების წესს;
- 1.2 დებულების მიზანია უზრუნველყოს სწავლების ყველა საფეხურზე ერთიანი პროცედურით შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება და ჩატარება;
- 1.3 დებულება ატარებს შიდაორმატიულ სამართლებრივ ხასიათს, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის დებულებას, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი სკოლების დებულებებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს;
- 1.4 წინამდებარე დებულებით ხელმძღვანელობა სავალდებულოა კავკასიის უნივერსიტეტში შემავალი ყველა სკოლის, აკადემიური პერსონალის (პროფესორები; ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორები), მასწავლებლების, სპეციალისტების, მკვლევარებისა და მოწვეული პერსონალისათვის, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომელთა და სტუდენტთათვის.

### მუხლი 2. გამოცდაზე დაშვების პირობები:

- 2.1. დასკვნითი გამოცდა ატარებს სავალდებულო ხასიათს ყველა სასწავლო კურსისათვის საბაკალავრო დონეზე;
- 2.2. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ათვისება (რომელშიც შედის საკონტროლო/ტესტური წერები, შუალედური და დასკვნითი გამოცდები), საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, უნდა შეფასდეს 100-ქულიანი სისტემით;
- 2.3. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა;
- 2.4. შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების ჯამური მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 60 ქულას; მათ შორის დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით;
- 2.5. დაუშვებელია სტუდენტის მიერ შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენა ან გადატანა შემდგომი პერიოდისათვის. სტუდენტს შეიძლება მიეცეს შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება მხოლოდ უნივერსიტეტის სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ, თუ გაცდენა მოხდა საპატიო მიზეზით;
- 2.6. ლექტორი ვალდებულია აწარმოოს ლექციაზე სტუდენტთა დასწრების ელექტრონული აღრიცხვა. მაგისტრატურის საფეხურზე საკონტროლო/ტესტური

გამოკითხვის არსებობის შემთხვევაში სტუდენტთა აღრიცხვა მოხდეს პირველი საათის ბოლოს, სხვა შემთხვევაში პირველი და მესამე საათის ბოლოს.

- 2.7. თუ სტუდენტი სემესტრის განმავლობაში საგანში გააცდენს (საპატიო და არასაპატიო მიზეზით) საგნის პროგრამით გათვალისწინებული სააუდიტორიო მეცადინეობების 25%-ზე მეტს, ის მოიხსნება საგნიდან და გაუფორმდება შეფასება “F”, რაც ითვალისწინებს აღნიშნული საგნის თავიდან შესწავლას დამატებითი გადასახადის უზრუნველყოფით. (მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გაცდენების გადახედვა და საგნიდან ჩახსნა განხორციელდება სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ სტუდენტთა განაცხადების ინდივიდუალური განხილვის შემდეგ).
- 2.8. დაუშვებელია სტუდენტის მიერ შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე დაგვიანება არაუმეტეს 10 წუთისა. სტუდენტის მიერ გამოცდაზე დაგვიანების შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან (ან შესაბამისი კომპონენტიდან).

### **მუხლი 3. გამოცდების ჩატარების ვადები, ხანგრძლივობა და მომზადება:**

- 3.1. კავკასიის უნივერსიტეტში, ყოველ სასწავლო წელს, საბაკალავრო დონეზე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული აკადემიური კალენდრით;
- 3.2. შუალედური/დასკვნითი გამოცდა ერთსა და იმავე სასწავლო კურსში მიზანშეწონილია ჩატარდეს გაერთიანებული სახით;
- 3.3. შუალედური/დასკვნითი გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო დავალების სტრუქტურა და შეფასების კრიტერიუმები შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამისი სკოლის დეკანთან ან/და საგანმანათლებლო პროგრამის დირექტორთან ან/და მიმართულების ხელმძღვანელთან წინასწარ, მკაფიოდ უნდა იყოს ცნობილი სტუდენტებისთვის.
- 3.4. სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი სპეციალობების შესაბამის მაპროფილბელ სასწავლო კურსებში საგამოცდო დავალების კომპონენტებს შორის ქულათა გადანაწილება განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგნაირად:
  - ა) ტესტური დავალების თითოეული კითხვა – არაუმეტეს 0,3 ქულისა;
  - ბ) კაზუსი – 3-დან 10 ქულამდე;
  - გ) „ღია კითხვა“ - 0.5-დან 2 ქულამდე;
  - დ) თემა –8-დან 15 ქულამდე;სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო დავალების ტესტური ნაწილის სავარაუდო პასუხები გადაიტანოს სპეციალურ ცხრილში, რომელიც თან ერთვის ძირითად ტექსტს. საგამოცდო დავალების საბოლოო შეფასების დადგენისას გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ამ ცხრილში ასახული შედეგები.
- 3.5. საგამოცდო დავალებების გამრავლება და გამოცდისთვის მომზადება, უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორმა.

#### **მუხლი 4. გამოცდის ჩატარებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები:**

4.1 გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებენ დამკვირვებლები: ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის დეპარტამენტები, შესაბამისი სკოლის დეკანი, პროგრამის დირექტორი, სასწავლო მენეჯერი, შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი და უფლებამოსილი დამკვირვებელი პირები, რომლებიც შეირჩევიან აკადემიური (მასწავლებლები, მკვლევარები და მოწვეული პერსონალი) და ადმინისტრაციული პერსონალიდან. აუცილებლობის შემთხვევაში, სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, გამოცდას შეიძლება დაესწროს შესაბამისი საგნის ლექტორი.

4.2 დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდის მსვლელობისას აწარმოოს გამოცდის მსვლელობის ოქმი (იხილეთ დანართი 2), რომელიც დარიგდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

#### **მუხლი 5. გამოცდების ჩატარების პროცედურა**

##### **5.1. მოსამზადებელი სამუშაო**

- 5.1.1. საგამოცდო აუდიტორიაში უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც სტუდენტი დატოვებს ჩანთას, წიგნს ან/და ნებისმიერ სხვა ნივთს, რომლის გამოყენებაც უშუალოდ გამოცდის პროცესის დროს არ არის ნებადართული;
- 5.1.2. შუალედურ/დასკვნით გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვება უნდა განახორციელოს დამკვირვებელმა;
- 5.1.3. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე დაკვირვება განახორციელოს ვიდეოთვალის საშუალებით;
- 5.1.4. საგამოცდო ტესტის დარიგებამდე დამკვირვებელს უფლება აქვს სტუდენტები სამუშაო ადგილას დასვას თავისი შეხედულებისამებრ. სტუდენტი ვალდებულია კომენტარის და წინააღმდეგობის გარეშე შეასრულოს მითითება;
- 5.1.5. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე იკრძალება მობილური ტელეფონით სარგებლობა. იგი გათიშულ მდგომარეობაში უნდა იყოს სტუდენტის ჯიბეში, ჩანთაში, ან დამკვირვებლის მაგიდაზე. ასევე, აკრძალულია მობილური ტელეფონის ან სხვა რაიმე ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება კალკულატორის ნაცვლად. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება – ნული.

##### **5.2. გამოცდის ხანგრძლივობა**

- 5.2.1. შუალედური/დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 ასტრონომიულ საათს;
- 5.2.2. რამდენიმე კომპონენტისაგან შემდგარი შუალედური/დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში, კომპონენტებს შორის შესვენება არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს;

- 5.2.3. შუალედური/დასკენითი გამოცდის დაწვევის და დამთავრების დრო უნდა დაიწეროს დაფაზე;
- 5.2.4. დამკვირვებელი ვალდებულია 30 წუთის ინტერვალით აცნობოს აუდიტორიას საგამოცდო ტესტის ამოწურვამდე დარჩენილი დრო;
- 5.2.5. წინასწარ განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ, უკლებლივ ყველა სტუდენტი აბარებს ნაწერს დამკვირვებელს;
- 5.2.6. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტის საგამოცდო დავალება აღარ მიიღება.

### **5.3. საგამოცდო დავალება**

- 5.3.1. შუალედური/დასკენითი საგამოცდო დავალება არის ანონიმური. სტუდენტმა მხოლოდ საგამოცდო დავალების თავფურცელზე უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი. გამოცდის დასრულების შემდეგ, ნაშრომი სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ იშიფრება და გადაეცემა ლექტორს შესამოწმებლად;
- 5.3.2. საგამოცდო დავალების ტესტურ (ე.წ. მრავლობითი არჩევანის შეკითხვების) ნაწილში შემოხაზული უნდა იყოს მხოლოდ ერთი პასუხი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კითხვა ითვალისწინებს ორი ან მეტი პასუხის შემოხაზვას), სხვა შემთხვევაში პასუხი არ ჩაითვლება;
- 5.3.3. საგამოცდო დავალების ტესტურ (ე.წ. მრავლობითი არჩევანის შეკითხვების) ნაწილში, პასუხის გადასწორების, ანუ გადაშლისა და სხვა პასუხის შემოხაზვის შემთხვევაში პასუხი არ ჩაითვლება.

### **5.4. გამოცდის მიმდინარეობა და შეჯამება**

- 5.4.1. შუალედურ/დასკენით გამოცდაზე იკრძალება სტუდენტის მიერ კალკულატორის ან/და კოდექსის გადაცემა სხვა სტუდენტისთვის. მისი გადაცემა ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და ორივე გამოსაცდელის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%;
- 5.4.2. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტმა ხელის აწევით უნდა მოიხმოს დამკვირვებელი და ჩუმად დაუსვას შეკითხვა. ნებისმიერი ხმამაღლა ნათქვამი ფრაზა, რომელიც შეეხება საგამოცდო დავალებას და სავარაუდოდ, მიზნად ისახავს სხვა სტუდენტისათვის სწორი პასუხის ან ამოხსნის გზის კარნახს, შეფასდება, როგორც კარნახის მცდელობა და გამოსაცდელის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%;
- 5.4.3. შუალედურ/დასკენით გამოცდაზე კატეგორიულად იკრძალება ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება. „შპარგალკად“ ჩაითვლება ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, პლასტმასი, ელექტრონული (მობილური ტელეფონი და სხვ.) და ა.შ.) დაწერილი, ამოტვიფრული თუ ჩაწერილი საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე ნებისმიერი სახის ფურცელი, თუ იგი არ არის დარიგებული საგამოცდო დავალებასთან ერთად ან არ აქვს დამკვირვებლის ხელმოწერა.

- აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება – ნული;
- 5.4.4. სტუდენტისათვის საგამოცდო დავალების თუნდაც ერთი საკითხის „შპარგალის“ სახით აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტი ჩაიხსნება შესაბამისი საგნიდან, ასეთი ფაქტის განმეორების შემთხვევაში დადგება სტუდენტის უნივერსიტეტიდან გარიცხვის საკითხი.
- 5.4.5. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე იკრძალება ხმამაღალი და ხელისშემშლელი საუბარი, გადალაპარაკება, ნებართვის გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, გამოსაცდელის ქცევით გამოცდის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა. აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%;
- 5.4.5. გამოცდის მიმდინარეობისას აკრძალულია სტუდენტის აუდიტორიიდან გასვლა;
- 5.4.6. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის გამოცდიდან მისი მოხსნის ან/და შედეგის განულების შესახებ;
- 5.4.7. სტუდენტის მიერ საგამოცდო ნაშრომში განყენებული და საგანთან შეუსაბამო მოსაზრებების დაფიქსირება, ჩაითვლება სტუდენტის არაეთიკურ საქციელად და არ შეფასდება ლექტორის მიერ;
- 5.4.8. გამოცდის დასრულების შემდეგ, ნაშრომს სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ენიჭება სპეციალური შიფრი და ანონიმური სახით გადაეცემა ლექტორს შესამოწმებლად;
- 5.4.9. ლექტორი ვალდებულია საკონტროლო/ტესტური წერა, შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალება შეაფასოს ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადისა,
- 5.4.10. შემოწმებულ შუალედურ/დასკვნით საგამოცდო დავალებებს ლექტორი აბარებს სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტს, რომელიც განშიფრის შემდეგ ნაშრომებს გადასცემს შესაბამის სასწავლო მენეჯერს შეფასებების ელექტრონული ნიშნების ფურცელში შესაყვანად;
- 5.4.11. საკონტროლო/ტესტური წერისა და შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების აღდგენების შედეგების, აგრეთვე FX-შეფასების გადაბარების შედეგების ლექტორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის დეპარტამენტში წარდგენის ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

გასასწორებელი ნამუშევრების რაოდენობა	ვადა
1-ან 7-მდე	1 დღე
7-ან 15-მდე	2 დღე
15 და მეტი	3 დღე

5.4.12. დაუშვებელია ლექტორის მიერ ნებისმიერი მიზეზით გამოცდის შედეგების ადმინისტრაციისათვის გადაცემის დაყოვნება.

**6. საკონტროლო/ტესტური წერის, შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის პროცედურები**

6.1 სტუდენტი ვალდებულია ლექციის ან/და საკონტროლო/ტესტური წერის, შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში იმავე დღეს აცნობოს სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტს გაცდენის მიზეზი, ხოლო დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინოს უნივერსიტეტში გამოცხადებისთანავე, რათა მოხდეს განხილვა გაცდენილი პერიოდის საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

6.2 სტუდენტის მიერ ლექციის ან/და საკონტროლო/ტესტური წერის, შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენა საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს შემდეგ შემთხვევებში: ავადმყოფობა, მივლინება, ქორწინება ან განქორწინება, ჯვრისწერა, უბედური შემთხვევა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება (ოჯახის წევრის გარდაცვალება შეიძლება დადასტურდეს სასწავლო მენეჯერის მიერ წერილობით ცნობის წარმოდგენის გარეშე, სხვა პირის გარდაცვალებისას სტუდენტი წარმოადგენს გარდაცვალების ცნობას).

6.3 საკონტროლო/ტესტური წერის, შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის თაობაზე სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტი, ცალკეულ შემთხვევებში სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

6.4 სტუდენტს შეიძლება საპატიოდ ჩაეთვალოს სემესტრის განმავლობაში გაცდენილი საგნის პროგრამით გათვალისწინებული სააუდიტორიო მეცადინეობების 25% და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში მიეცეს ამ მეცადინეობების ფარგლებში ჩატარებული საკონტროლო/ტესტური წერის, შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება.

6.5 სტუდენტს უფლება აქვს აღადგინოს მხოლოდ წერითი დავალება;

6.6 ზეპირი გამოკითხვის აღდგენა აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ უცხო ენებში;

6.7 სტუდენტს ჩაეთვლება საპატიოდ გაცდენა, რომელიც გამოწვეულია კაკასიის უნივერსიტეტის მიზეზით;

6.8 იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მიეცა აღდგენის უფლება, მაშინ შუალედურ გამოცდამდე უნდა აღდგეს სწავლის დაწყებიდან შუალედურ გამოცდამდე გაცდენილი საკონტროლო/ტესტური წერა, ხოლო დასკვნით გამოცდამდე უნდა აღდგეს შუალედური გამოცდიდან დასკვნით გამოცდამდე გაცდენილი საკონტროლო/ტესტური წერა.

6.9 დაუშვებელია საკონტროლო/ტესტური წერის აღდგენა დასკვნითი გამოცდების დაწყების შემდეგ;

- 6.10 საკონტროლო/ტესტური წერის, შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების აღდგენაზე აგრეთვე FX შეფასების გადაბარებაზე წარმოდგენილი ტესტი არ უნდა იყოს უკვე ჩატარებული ტესტის იდენტური.
- 6.11 საკონტროლო/ტესტური წერის, შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების აღდგენას აგრეთვე FX შეფასების გადაბარებას არ უნდა დაესწროს შესაბამისი საგნის ლექტორი. გამონაკლის შემთხვევებში ლექტორის დასწრების საკითხს გადაწყვეტს ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის დეპარტამენტი.

## 7. გამოცდის შედეგების გასაჩივრება

- 7.1 ლექტორი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების შედეგები გააცნოს სტუდენტებს;
- 7.2 სასწავლო მენეჯერი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების შედეგები მიღებისთანავე გააცნოს სტუდენტებს მათი უნივერსიტეტის საიტზე განთავსების გზით;
- 7.3 შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია საგამოცდო დავალების შეფასებასთან დაკავშირებით და მოითხოვოს გასწორებული ნამუშევრის გაცნობა და ქსეროასლის გადაღება სასწავლო მენეჯერის მეშვეობით;
- 7.4 სტუდენტის პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში ლექტორი წერს მოხსენებით ბარათს ვიცე-პრეზიდენტის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის დარგში სახელზე და ითხოვს სტუდენტის პრეტენზიის დაკმაყოფილებას და საბოლოო ნიშნის შეცვლას. ვიცე-პრეზიდენტის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის დარგში ეცნობა მოხსენებით ბარათს და დაადებს დადებით ან უარყოფით რეზოლუციას. საჭიროების შემთხვევაში, მას უფლება აქვს ლექტორის მოსაზრებები გადაამოწმოს კომისიური წესით. დადებითი რეზოლუციის შემთხვევაში, სტუდენტის საბოლოო შეფასება იცვლება და იმავე დღეს ცვლილება აისახება ნიშნების ბაზაში, ხოლო შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება სტუდენტის პირად საქმეში.
- 7.5 პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ოფიციალურად მიმართოს დეკანატს;
- 7.6 საჩივრის განხილვის მიზნით სკოლის დეკანი ქმნის საპრეტენზიო კომისიას, რომელიც შედგება 3 წევრისაგან. მის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების სრული ან/და ასოცირებული პროფესორი, მოწვეული სპეციალისტი ან დარგის ექსპერტი, ასევე სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი. საპრეტენზიო კომისია ვალდებულია 3 დღის ვადაში ყოველმხრივ შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს პრეტენზია. კომისიას უფლება აქვს შეფასება დატოვოს ძალაში, ნაშრომი შეაფასოს საუარესოდ ან პირიქით. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის

წევრები და წარუდგენენ სკოლის ადმინისტრაციას. საპროექტუნზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

#### **8. გამოცდების ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცება**

- 8.1. გამოცდების ჩატარების შესახებ დებულებას სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
- 8.2. დებულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი წარადგენს მოხსენებას უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე;
- 8.3. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება პრეზიდენტის მიერ მოცემული შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე.